

საქართველო

ეროვნული
ბიზნისი

საორტული გაზეთი

სამშაბათი 29 იანვარი 2002 №11 (1533)

ფასი 50 თეთრი


მოსულა!

ივო ზუზაკა დინამოს მერა თბილისის ნახა და. თანახმა ვარო

ამ შაბათ-კვირას ივო ზუზაკა ქართულ მინაზე ფეხი დადგა. მასპინძლებად გამწესებულები ჩვენებურად, ხელგაშლით დაუხვდნენ, მიახედ-მოახედეს, სანახავი ანახეს და, ხორვატმაც, „დინამოს“ განვრთნაზე ყაბულს ვარო, დაიბარა სამ-შობლოში გაბრუნებულმა. ახალი უცხოელი მწვრთნელი ჩვენს საქლებო ფლაგმანს მალევე დაუბრუნდება.

აღბათ, ერთსაც მოისაყლისებს. ზაზა ზირაქი-შვილს გუნდში აღარ დაედგომება.


ბალკანელი სლავი ტრადიციულად და ახალქართულადაც პატივცემი გავისტუმრეთ ხორვატი-ში და მოსაყოლიც, ცხადია, ცოტა არ ექნება. ეროვნული გუნდის თავკაცი ალექსანდრე ჩივაძე კი მასთან სამომავლო გეგმებს დაალაგებს და გუნდიც, იბერიისა არ იყოს, გაბრწყინდება – ასე სჯერათ „დინამოში“ და სხვაგვარად არ ძალუძთ.



კაპრიტი სიკვდილის წინააღმდეგ

ქვეყნის ხალხის თანდასწრებით კვირას ავსტრალიის ღია პირველობა დამთავრდა და თავისი ულუფა ყველამ ბოლომდე მიიღო: ორგანიზატორებმა და ჩოგბურთელებმა მეტნაკლები შემოსავალი, ტრანსპორტი და დაფეხილობანი, მაყურებელმა — სიამოვნება საუცხოო ჩოგბურთის ხილვისგან. განსაკუთრებით დასკვნით მატჩებში ნათლად ჩანდა ის დრამატული სილამაზე, რომელიც სპორტის ამ სახეობას ახლავს. შაბათის ქალთა ფინალში ორი სერია იყო, ერთმანეთისთვის ცა და მიწა. ჯერ მარტინა ჰინგისმა გაილაღა და ოთხჯერ მხოლოდ კინკილა ბურთის ჩაგდება უკლდა საბოლოო გამარჯვებამდე, მერე კი ჯენიფერ კაპრიატის უტეხობამ გაიტანა თავისი და ყოფილი უნიჭიერესი თინეიჯერი, მარიახუნის ტრფიალი და ბაცაცა მეორედ შედგა „აუსტრალიან ოუფენის“ უმაღლეს საფეხურზე. იმავე ადგილზე მრავალი ცდის შემდეგ პირველად შედგა შვედი ტომას იოჰანსონი, რომელმაც ლურჯ-ყვითელ სამოსიან ფანთა მხარდაჭერით გადამწყვეტი მატჩი რუს მარატ საფინს მოუგო.

იხილეთ მეთორმეტე გვერდი



ჯენიფერ კაპრიატი



მარატ საფინი



ტომას იოჰანსონი



მარტინა ჰინგისი

REUTERS მედღურნიდან

REUTERS მედღურნიდან

Cup of Nations 2002

აფრიკის ჩემპიონატი 2002
მატი. 19 იანვარი — 10 თებერვალი



ბურკინა ფასო — მაროკო. მაროკოელ მეკარე დრის ბენზეკრის ბურთი ერთხელ მიიტაცა გაურბა



ტუნისელმა გულშემატივარმა თავისთვის გასახარი ვერაფერი გადაიღო

აფრიკაელებს ყველაფერი დიდი უყვარს ჩაბმა კი არ იხიან

ბასულაბით დავიწყეთ — კამერუნი და სენეგალი უკვე მეოთხედ-ფინალში არიან, დანარჩენებს კი საამისოდ მესამე ტური ელით...

ტანა, მწვრთნელის გახარებულმა თანამშრომელმა ჟიულ ბოკანდემ მინერალური წყლის ბოთლი ტრიბუნაზე მოისროლა. ეს ამბავი აფრიკელ დისციპლინარებს შეუძნეველი ცხადია...

Table A: Group II. 22 points. Shows match results for teams like Mali, Senegal, and Burkina Faso.

Table B: Group II. 12 points. Shows match results for teams like Nigeria, Egypt, and Tunisia.

Table C: Group II. 10 points. Shows match results for teams like Morocco, Algeria, and Mali.

Table D: Group II. 10 points. Shows match results for teams like Egypt, Tunisia, and Nigeria.

ამ საკმაო კურორული მიზეზების გამო დაკისრებული ჯარიმების ამბავს კი ზამბიელთა გმირობის ამბავი მოვაყოლოთ. ზამბიელები მართალია, დამარცხდნენ, მაგრამ როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბოლო წუთზე გასუბებული გოლით და თან ბევრად ძლიერ გუნდთან...

ფეხბურთის რეკორდები



იტალიის ქალაქ ნეაპოლის სასამართლომ „ნაპოლის“ საჩივარი დააკმაყოფილა. საქმე ისაა, რომ ქალაქის მერია კლუბს სტადიონ „სან პაოლოს“ იჯარის თანხის — 2,5 მილიარდი ლირის გადახდას სთხოვდა...

არბანტინული სააგენტოების ცნობით, იტალიურ „იუვენტუსსა“ და „ინტერს“ შორის საიდუმლო შეთანხმება არსებობს, რომლის თანახმადაც ეს ორი კლუბი ერთმანეთს ხელს არ შეუშლის სასურველი ფეხბურთელების — ანდრეს დალესანდროსა და რუბენ ოლივერას გადაბირებაში...

ბერმანული „დორტმუნდის“ ვებტრანი მცველის იურგენ კოლერის გამოსათხოვარი მატჩი წელეულს, მისში შედგება. „დორტმუნდის“ მეტოქე იტალიური „იუვენტუსი“ იქნება, სადაც კოლერი 1991-95 წლებში თამაშობდა...

ინგლისური „არსენალის“ ფრანგმა თავაჯამმა არსენ ვენგერმა განაცხადა, რომ მიმდინარე სეზონში მის გუნდს სამი ტურნირის მოგება შეუძლია. #3 დილით, რომ ყველა მატჩში გაემარჯვებოთ. თუ ყოველ ნაბიჯს კარგად გათვლით, მანისი მუსლიმ გვეჩვენება — თქვა ვენგერმა...

სლოვაკური „რიეკას“ წარმომადგენელთა თქმით, იტალიურმა „უდინეზემ“ მათ ფეხბურთელს — ანდრე მიატოვიჩს დაადავო თვალი. მოსალოდნელი ტრანსფერის ღირებულება 10 მილიონი ევროა.

ბერმანის ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა ოლივერ ბიროფმა განაცხადა, რომ კაპიტნის სამკლავური ოლივერ კანს თავად დაუთმო. „მინდა, წყნარად მოვემზადო მსოფლიოს ჩემპიონატისთვის“ — თქვა ფრანგული „მონაკოს“ თავდამსხმელმა ბიროფის გადაწყვეტილება ნაკრების თავაჯამმა რუდოლფი ფილიპსმა გაიხიარა...

იტალიური „რომას“ ბრაზილიელი ნახევარმცველი მარკოს ასუნსაო სერია A-ს ბოლო ტურში „პიაჩენცასთან“ მატჩში დაშავდა და შესაძლოა ერთი თვით ჩამოშორდეს ფეხბურთს. შეგახსენებთ, რომ ამ შეხვედრაში ბრაზილიელმა გოლიც გაიტანა, თუმცა რამდენიმე წუთში მარცხენა მუხლის ტრავმა მიიღო და შესაცვლელი შეიქნა.

ინგლისური „ვესტ ჰემის“ მეფეგერმა გლენ რიოდერმა განაცხადა, რომ იტალიელ გამომწვევებელ ბალოლა დი კანის „მანჩესტერში“ ტრანსფერი ამ კვირაში განხორციელდება. „ვესტ ჰემი“ დი კანის 2 მილიონ გირვანქას ითხოვს. შეგახსენებთ, რომ იტალიელი ნახევარმცველის ინგლისურ გრანდში გადასვლაზე უკვე კარგა ხანია, საუბრობენ, თუმცა ჯერჯერობით ეს არ მომზადია. თვის ბოლოს კი ინგლისში სატრანსფერო სეზონი იხურება და დი კანის საყიდის კვლევა აქტიულოდ გახდა. „მანჩესტერმა“ წინა კვირაში ურუგვაელი დიეგო ფორლანი იყიდა 6,9 მილიონ გირვანქად.

იტალიური „პარმასა“ და ბელარუსის ნაკრების მცველი სერგეი გურენკო ამჟამად ინგლისურ „დერბი ქაუნთიში“ ისინჯება. „პარმას“ დირექტორ ლუკა ბარალდის თქმით, ფეხბურთელი კარგ ფორმაშია და უახლოეს მომავალში მას ინგლისში გაყიდის. შეგახსენებთ, რომ გურენკოს ადრე ბელარუსულ „ნიმან-ბელარდში“, მოსკოვის „ლოკომოტივიში“, იტალიურ „რომასა“ და ესპანურ „სარაგოსაში“ უთამაშია.

ინგლისური „ასტონ ვილას“ ყოფილ მწვრთნელ ჯონ გრეგორის კლუბისგან არავითარი კომპენსაცია არ მიუღია. არადა, მას კონტრაქტის ვიდეო წესდინახევაში ეწერებოდა. „მინდა, ყველაფერი გაგარჯვით. წავედი კლუბიდან და არც არავის გავახსენებ“ — განაცხადა 47 წლის სპეციალისტმა.

არჩივს კლანჭები გაუსვდა

თურქეთი

მე-20 ტური. ანკარა: ანკარა — ფერენბაჰი 3:2; დენიზლი — გაზიანთეფი 2:2; სამსუნ — გიოზთეფი 1:2; მალათია — ქოჯალეფი 2:4; ისთანბული — გენლერბირლიგი 0:0; იოზგათი — ანთალია 3:2; გალათასრაი — რიზე 4:4; დიარბაქირი — ბუზურსა — ტრაბზონი 2:2

ზედიზედი მოგებული ცხრა შეხვედრის შემდეგ კრისტოფ დაუშინა „ბემიქთაშმა“ დაამუხრუჭა. „შავი არწივი“ („ბემიქთაშის“ მეტსახელია) ამჯერად ნადირობიდან ხელცარიელი დაბრუნდა. მისი მეტოქე ქურთებით დასახლებული „დიარბაქირი“ გახლდათ. ახალ წლამდე „დიარბაქირმა“ თვით „ფერენბაჰი“ გაისტუმრა უქულოდ „ბემიქთაშს“ კი უგოლო ფრე აკმარა. ჯერჯერობით ვერნერ ლორანტმა ვერ დააყენა რელსებზე „ფერენბაჰი“, ვინც სტუმრად დედაქალაქურ „ანკარაგიუჯიუსთან“ დამარცხდა. არადა, „ფერენი“ თავიდან იგებდა კიდევ მერე ანკარელებმა ერთობ მოინდომეს და იქით გაუტანეს სამი ბურთი. ამას მოჰყვა სტუმართაგან ორი კაცის გაძევება და მასპინძლებს საქმის ბოლომდე მიყვანა არ გასჭირვებიათ. როგორც ჩანს, დედაქალაქელებს სტამბოლური გუნდების ჯინი აქვთ, „ანკარაგიუჯიუმ“ მიმდინარე სეზონში „გალათასარაი“ კი გაამწარა, როცა 5:0 გაანადგურა. მატჩის დამთავრებამდე 23 წუთით ადრე იგებდა „ტრაბზონი“, თუმცა აქ მისი დაცვის უსუსურობა გამოჩნდა.

Table with 5 columns: Team Name, Goals, Assists, Points, etc. Lists various teams and their statistics.



საქმე, როგორც ოჯახზე ძვირფასია



სვენ გორან ერიკსონს ერთ დროს ბედნიერი ოჯახი ჰქონდა

გვრთნებელმა როგორც პროფესიონალი, ნათქვამია და ეს რომ მართლაც ასეა სვენ გორან ერიკსონის ცხოვრების ისტორიიდანაც ჩანს. 53 წლის შვედი დღეს ინგლისის გმირია. სულ მოკლე დროში ამ ქვეყნის გასაცოცხლებელი ნაკრები ევროპის მოწინავედ აქცია, მსოფლიოს ჩემპიონატზე ღირსეულად გაიყვანა და ფეხბურთის ასოციაციასთან გაფორმებული სამილიონიან კონტრაქტს საფუძველი მნიშვნელოვნად გაუმყარა.

ახლა მას დრო შედარებით მეტი აქვს. ხშირად დადის პრემიერლიგის მატჩებზე, უკვე ნაკრების კანდიდატებს და ვინაობა შესაძლო ვარია-ნტებს არჩევს. ადრე კი, როცა საკლუბო მწვრთნელი იყო, შინ ძალიან იშვიათად უხდებოდა ყოფნა. წლები წლებს მიჰყვებოდა, ოჯახი კი თავისას ითხოვდა და როცა მის მოუცველობას საშველი აღარ დაადაგა მოსაზრებით, 17 წლის თანაცხოვრების მერე 1994-ში ერიკსონები გაიყარნენ. „ჩემი სამუშაოთი ბედნიერი ვარ და არც არაფრის შეცვლა მინდა — ამბობს ერიკსონი — მაგრამ რომ იცოდეთ რის ფასად დამიჯდა ყოველივე, როცა საკლუბო მწვრთნელი ხარ, უნდა იცოდეთ ოჯახის მომარებელი იქნები, ხშირად ვერ ნახავ ცოლ-შვილს. ამის გამოება კი ყველას არ შეუძლია. ძალიან რთულია“.

ერიკსონმა თავისი მომავალი მეუღლე ან-კრისტინ პეტერსონი 1970 წელს გაიცნო, როცა ახალგაზრდა ფეხბურთელი იყო. შვიდი წლის შემდეგ ისინი დაქორწინდნენ. ორი შვილი ჰყავთ, 23 წლის იოჰანი სოლტ ლეიკ სიტინი სპორტის ფსიქოლოგიას სწავლობს, ხოლო 15 წლის ლინა დელასთან ფლორენციაში ცხოვრობს. ერიკსონი ახლაც ხშირად ეხმარება ყოფილ მეუღლეს, ურთიერთობაც ნორმალური აქვთ, მაგრამ ერთიანი ოჯახი აღარ არსებობს. დღეს ერიკსონი სამ მილიონად ნაყიდ სახლში ცხოვრობს გაამერიკელებულ იტალიელ ვექილ ნენსი დელოლიოსთან ერთად. უფვარს კინოში, თეატრში და რესტორანში სიარული. ბევრს კითხულობს. ერთხელ „ლაციოს“ მწვრთნელობისას, მავანმა ჟურნალისტმა თურქე მის მაგიდაზე ტიბეტური პოეზიის წიგნი დაინახა და ამას პრესაში დიდი აფიოტაჟი მოჰყვა, თუმცა ერიკსონმა ყოველივე მშვიდად აღიქვა. დიან, კითხულობდი, მაგრამ ამაში განსაკუთრებულს ვერაფერს ვხედავო, ასეთი იყო მისი პასუხი.


ერიკსონი ძალიან უბრალო ოჯახის შვილია. მამა ახალგაზრდობაში სატვირთო მანქანის მძღოლი განხლდათ, დედა კი გადია. ისინი დღესაც პატარა ქალაქ ტორსბიში ცხოვრობენ.

„ყოველთვის მასსოვს საიდან მოვლივარ — დასძენს ერიკსონი — თუმცა, ალბათ, დრომ მაინც შემცვალა. ტორსბიდან 30 წლის წინ წამოვედი და მერე ბევრ განსხვავებულ ქალაქში მიცხოვრია“.

ოდესღაც უბრალო ტორსბელ ბიჭს დღეს მთელი მსოფლიო იცნობს. უდავოდ ჰკვირებიან და ნიჭიერი ადამიანია, თუმცა უბრალოება მაინც შერჩენია. ამას წინებზე იყო, ერთ-ერთი ინგლისური რადიოს დიჯეიქმ საქვეყნოდ რომ გაამასხრა, მოატყუა, კვირს კივანი ვარო და ის სატელევიზიო საუბარი მთელ ინგლისს მოასმენინა. მერე რაღაც ამდაგვარი ისევ განმეორდა. „სატელევიზიო მასხარაობა მართლაც პრობლემად მექცა — ყველა შვედი — საქმე იქამდე მივიდა, რომ როცა კლუბების მწვრთნელს ფეხბურთელების თაობაზე ვუკრეკავ, მიხოვენ, თუ შეიძლება გადმოვრეკავთ, გვირდა დავერწმუნდეთ, რომ არავინ გვაშაყრებდესო. ასეთი სისულელე ჩემს პრაქტიკაში არ ყოფილა. ახლა ვფიქრობ, რაიმე პაროლი ხომ არ მოვიფიქრობ“.

აი, ასეთია ინგლისის ნაკრების გადამრჩენი მწვრთნელი.

სოლომონ გულისაფხილი




რივალდო დიდ ბიზნესს შეეკიდა

სამხაქასო ბიზნესი ბრაზილიურად რივალდო და სეზარ სამაიო ფეხბურთელთა ექსპორტის აკონტროლება

რივალდოსა და სეზარ სამაიოს — ბოლო ათწლეულის ორ გამოჩენილ ბრაზილიელ ფეხბურთელს — მკითხველისთვის განსაკუთრებული წარდგენა არ სჭირდება. მაგრამ მათი მმართველობისა და ბიზნეს-კომპანიონობის შესახებ კი ბევრს, ალბათ, არაფერი უნდა სმენილეს.

„ბარსელონას“ მეგობარ-პლეიმიეკერ რივალდოსა და იაპონურ ჯეი-ლიგაში მოთამაშე მის მძაკვს ამ რამდენიმე ხნის წინ ერთობლივი კომპანია დაუარსებიათ. კომპანიას „სიესერ-ფუტბოლ ენდ მარკეტინგ“-ი ეწოდება და მისი მთავარი მიზანი ბრაზილიურ კლუბებზე ზრუნვაა. „სიესერი“ ძირითადად პატარა და უმოკარ კლუბებს ეხმარება — ფარავს მათ ვალდებს, უშენებს საწვრთნელ ბაზებს, ამარაგებს სავარჯიშო ინვენტარით თუ პროდუქტებით. სადაც კლუბი მოთამაშეობს, იმდენად უფრო მეტი რაოდენობის ტრენინგებს უფლება და, რაც ალბათ ყველაზე მთავარია, ფეხბურთელთა ტრანსფერებიდან შემოსული თანხის ერთადერთი განმკარგველი ხდება.



სეზარ სამაიო

ამგვარი ბიზნესით გამდიდრება ბრაზილიაში ადრე სხვა სახელიან ფეხბურთელებსაც უცდიათ — მაგალითად, ზიკოს და კარეკას. მაგრამ თუკი ეს უკანასკნელი ნიჭიერი ბრაზილიელი მოთამაშეების ექსპორტის გაკონტროლებას ახალი კლუბების დაარსებით ცდილობდნენ, რივალდოსა და სეზარ სამაიომ იმავეს გაკეთება უკვე არსებული კლუბების დაუფლებით არჩიეს. ცხოვრებამ სწორედ მათი გზის უპირატესობა დაადასტურა.

პირველი კლუბი, რომელიც „სიესერმა“ დააფინანსა, სან პაულუდან 178 კილომეტრში მდებარე ქალაქ გუარატინგუას ამავე სახელწოდების კლუბი იყო. კომპანიამ კლუბს 250 ათასი დოლარი მოახმარა და სანაცვლოდ რივანი სარფიც ნახა — „გუარატინგუას“ ლიდერი ტრივერინიო „ბარსელონამ“ მიიწვია, კიდევ რამდენიმე ახალგაზრდა კი ევროპის სხვა ნაკლებ სახელოვან კლუბებში გადამაწვინდნენ.

„სიესერის“ მორიგი, ამჯერად უკვე ნახევარმილიონიანი „ტრანსმი“ ფლორიანპოლისის „ფიგუეირენსეს“, სამხრეთ ბრაზილიის ერთ არცთუ ყველაზე სუსტ კლუბს ერგო. ფინანსურად მომარგებულმა კლუბმა მთელი მმართველი შტაბი გადაახალისა და რამდენიმე თვეში ისე მომძლავრდა, რომ ჯერ ბრაზილიის მეორე დივიზიონის საუკეთესო ოთხეულამდე ამაღლდა, ხოლო მოგვიანებით დივიზიონის ფინალამდეც გააღწია. ფინალში „ფიგუეირენსე“ „კამპის დუ სულს“ ხვდებოდა და მატჩის დასრულებამდე რამდენიმე წამით ადრე 1:0 იგებდა. მაგრამ მსაჯის საფინალო სასტვენის ჩაბერვა,

ხოლო კლუბს უმაღლეს დივიზიონში უდრტივებულად დაბინავება მინდორზე გავარდნილმა ქომაგებმა არ დააცდეს. მატჩი ჩაშლილად გამოცხადდა, ხოლო ბრაზილიის სპორტის უზენაეს სასამართლოს დღემდე ვერ გადაუწყვეტია, ჩაუთვალის მოგება „ფიგუეირენსეს“ თუ გადათამაშება დანიშნოს.

საქმეში ჩახედილი ხალხი ვარაუდობს, რომ „სიესერის“ დანახარჯები წლეულს კიდევ უფრო გაიზარდება. შესაბამისად, მოიმატებს შემოსავალიც, მაგრამ მსოფლიო საფეხბურთო მეურნეობაში ანგარიშგასაწევ ძალად ქვეყნის კომპანია მხოლოდ მას შემდეგ შეეცდება, როცა რივალდო და სეზარ სამაიო თავიანთ სათამაშო კარიერას დაასრულებენ.

დღესდღეისობით კი კომპანიონი მძაკვები იძულებულნი არიან, „სიესერის“ საქმეები ძირითადად ნათესავებისა და ახლობლების დახმარებით განაგონ. ბიზნესის შედარებით მცირე მასშტაბებსაც სწორედ ამით ხსნიან.

რივალდო: „მე და სეზარი ვცდილობთ, მაქსიმალურად ავირიდოთ უშუალო კონტაქტები კლუბებთან. მათი პრობლემების მოსაგვარებლად ჩვენს ფინანსურ ბევრი პროფესიონალი მუშაობს და ჩვენც არაფერი გვიმლის ხელს, მთლიანად ფეხბურთის თამაშზე ვიყოთ კონცენტრირებულნი. არ მინდა, ვინმემ წამომამახოს, რომ ამჟამად ჩემთვის არსებობს რამე იმაზე უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე „ბარსელონა“ და მისი წარმატება თუ წარუმატებლობა. როგორც პროფესიონალი მოთამაშე, ახლა მხოლოდ „ბარსელონა“ ვფიქრობ. ეს არის ჩემი საქმე და არა „სიესერი“. როცა თამაშს თავს დავანებებ, მერე ვნახოთ, რა და როგორ იქნება“.

ლევან კელაშაძე

ლინენს კაპუტ არველანის ყურიც არ მოუხრავს



ეგორ ლინენსი

ეგორ ლინენსი აღარ მოუთმინეს — „კიოლნმა“ განახლებულ ბუნდესლიგას დიდი ანგარიშით წაგებით შეეგება და მთავარი მწვრთნელიც დაიფრინა. „კიოლნს“ დროებით მისივე მოყვარულთა გუნდის თავკაცი კრისტოფ ჯონი გაწვრთნის.

მომხდართან დაკავშირებით კომენტარი ვთხოვეთ „კიოლნის“ ქართველ შემტევს არჩილ არველაძეს.

— საშუასეზონო პერიოდში გუნდს ლინენსი მწვრთნელად, მაგრამ პირველივე წარუმატებელი მატჩის შემდეგ დაითხოვეს. თუ მისი მოხსნა სურათ, რატომ აქამდე არ გააკეთეს ეს? ერთ მატჩს გადააყოფეს ლინენსი თუ ულტიმატუმის მაგვარი წაუყენეს — თუ კვლავაც ცუდად წავა საქმე, მყისვე გაგიშვებთ?

— საქმეს ისეთი პირი უნდა, რომ კლუბის ხელმძღვანელობა ლინენსს სეზონის ბოლომდე დააცდიდა მუშაობას, თუმც ასე არ მოხდა. დროებით მწვრთნელი კი დაგვიჩინეს, მაგრამ ის კი ფურისმოკვრითაც არ გავკვივია, თუ საბოლოოდ ვის ჩააბარებენ გუნდს.

— ისე, როგორ დაასაბათებდი ლინენსს და მაინც რა იყო მისი წარუმატებლობის მთავარი მიზეზი?

— ვერ ვიტყვი, რომ ლინენსი ცუდი მწვრთნელია. წინა სეზონში მან საქმეს თავი გაართვა, გუნდი ნორმალურად გამოიყურებოდა. ამ სეზონში კი ფეხბურთელთა ტრავმები ბევრი იყო, ზოგმა მაქსიმალურად ვერ გამოამჟღავნა შესაძლებლობები, უიღბლობაც დაგვჩემდა. თუმც თვითონ ლინენსიც ვერ ჩაღდა კალაპოტში, გუნდს ერთ და იმავე თერაპიულ ტექნიკით გადაბმულად ორი მატჩიც არ უთამაშია, ლინენსმა ვერ შეძლო სტაბილური შემადგენლობის ჩამოყალიბება, რაც მწვრთნელისთვის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მინუსია.

დავით თაგარათილაძე

ქუთაისში (231) 7 17 63

იყიდება

ბინა ინდივიდუალური პროექტით აშენებული რეაბინირებული სახლის შესაბამე სართულზე. საცხოვრებელი ფართი 250მ². დამხმარე ფართი 80მ² პირველ სართულზე. ირავალი აბაშიძის გამზირი №7. კინოთეატრ „სალიონსთან“

ჩემი ფარია ჯენიფერია, ეს ქალი სიცოცხლის ფარია

უსრულოდ ვერსააკითხი ერთი ამბავი ავსტრალიის გულდია ჩემპიონატისა

მხარობა, გაცნობით, რომ ავსტრალიის ღია პირველობის ვაჟთა ფინალი შედგა ტომას იოჰანსონმა მოიგო, ოღონდ „დიდი სლემის“ პირველი ტურნირის შემავალი ფრედიო ქალთა ფინალით უნდა დაეწყოს, არამარტო იმიტომ, რომ ქალები არიან, უბრალოდ, მანდილოსნებმა ერთი დღით ადრე ითამაშეს. ასე და ამგვარად: ჯენიფერ კარიატი მარტინა ჰინგისის წინააღმდეგ.

ჰინგისის წლეულს ძველი ჰინგისია. ბოლო წლების არასტაბილურობა სავსებით მოიშორა და თავისებური ტექნიკური ჩოგბურთით ფინალამდე დიდი და პატარა გააცამტვერა. ჩემპიონობაზე საუფრთხილოდ განაცხადა ვაჟთა ჰინგისმა გადაწყვეტილ თამაშშიც, როცა პირველი სეტი 6:4 მოიგო და მეორეში 4:0 დაწინაურდა. მოგებადღე შორი აღარ იყო, მაგრამ აქ კარიატიმ დაამტკიცა, რომ საჭირო მომენტში ნერვები ვითომ სულ არა ჰქონია და შტურმი დაიწყო. „მელბურნი პარკის“ ცენტრალურ კორტზე ცხელიდა აუტანლად (36 გრადუსი), მაგრამ ჰინგისი იხუთებოდნენ ტრიბუნაზე და მოთამაშეები მით უმეტეს. იქნებ ამ მიზეზითაც, გადამწყვეტ წუთებში ჰინგისის ყოფა ეტირა და ამერიკელმა ნელ-ნელა მთელი სხვაობა ამოუქანა. მერე ჰინგისმა გაიბრძოლა და 4-ჯერ (!) მიადგინა მატჩპოინტამდე, თუმცა თითქმის ცარიელ კარში გოლის შედეგის ყველა მცდელობა გაუფუჭდა. ბოლოს კარიატიმ მოიგო ის სეტი და როგორც გაირკვა, მატჩიც. მესამე პარტიაში დემორალიზებულმა ჰინგისმა ფაქტობრივად შეწყვიტა წინააღმდეგობა, მხოლოდ ორი გეიმი მოიგო. საბოლოოდ, ეს დრამატული მატჩი (ნათქვამის გარდა, გალიზიანებული კარიატი მსაჯის ჩხუბა და ტრიბუნებმა სტვენით რომ აუტყვეს, მოკეტეთო, მოუწოდა) 4:6, 7:6, 6:2 დამთავრდა და კარიატიმ დუბლი შეასრულა, შარშანაც ის გახდა ჩემპიონი და მამინაც ჰინგისის მოვუო.

რასაკვირველია, ტრიბუნებიდან სტვენა არ უნდა გავივით ისე, თითქოს საზოგადოება მთლიანად ჰინგისის მხარეს იყო. კარიატის ქომაგობენ ბევრნი, მისი კარგი ხასიათისა და დღენადავ გადმოყრილი 32 კილის გამო. მისი ფანების გუნდიდან მელბურნი უდავო ლიდერი განხლდათ იქაური დარენ ბარტოლომეუსი, ვისაც ჰინგისმა წლევიანდელი გამარჯვება ოფიციალურად მიუძღვნა.

ბარტოლომეუსს კიბო აქვს, ექიმები მხოლოდ რამდენიმე თვის სიცოცხლეს ჰპირდებიან. სამინელი სენი მას იმ დროსაც ჰქონდა, როცა კარიატი ის-ის იყო ბრუნდებოდა ჩოგბურთში და ბარტოლომეუსი დაუყოვნებლივ მისი ფანი გახდა. სანამ ფეხზე დგომა შეეძლო, კარიატის არც ერთი თამაში არ გაუცდენია, ხოლო როცა გაიკვია, რომ ფინალს ვერ დაესწრებოდა, კვრის ვიდეოშეტყობინება გაუგზავნა, რომელშიც „ლეგენდა“ უწოდა. კარიატიმ დაუყოვნებლივ დაურეკა, ისინი უკვე კარგა ხნის შეგობრები არიან.

„ვერ მოვიღვარ — უთხრა ბარტოლომეუსმა — ცხვირზე ჟანგბადის ბალონი ამაკრეს“.

„ცოტა მეც დამიტოვე — მიუგო კარიატიმ — ვეჭვობ, დამჭირდება“.

ამ საუბრის შესახებ ჟურნალისტებს კარიატის დედამ აძენო. „ის ჯენის ყველა თამაშზე მორფინით დადიოდა — თქვა მისის დენიზ კარიატიმ — ჩემი გოგოს თამაშის ყურება მას ძალას მძატებს და პირიქით, ის ჩვენც გვანიჭებს ძალას. ბოლო სამი თვეა, დარენისგან არაფერი გვსმენია, ვიფიქრეთ, ხომ არ გარდაიცვალაო, მაგრამ საბედნიეროდ, ცოცხალი ყოფილა და კიდევ ებრძვის თავის ავადმყოფობას“.

უკვე გამარჯვების შემდეგ კარიატიმ პოსტივალს მიაშურა, სადაც ბარტოლომეუსი წევს და



ჯენიფერ კარიატიმ ჩემპიონის თასი დარენ ბარტოლომეუსს მიუძღვნა

ავადმყოფმა „პერალდ სანის“ ჟურნალისტს შემდეგი უთხრა: „ჯენიფერი ჩემი დიდი სტიმულია. ახლა მე უფრო მეტს ვიფიქრებ იმაზე, როგორ ვიბრძოლო სიცოცხლისთვის“. კარგი იქნება, თუ ასე მოხდა.

კვირას ვაჟთა ფინალი იყო. უნდა ითქვას, რომ ფავორიტად მიჩნეული მარატ საფინი წლევიანდელ „ავსტრალიან ოუფენზე“ ფიზიკაში მოიკოჭლებდა. გაგახსენებთ მის ნახევარფინალს ტომი პასთან, რომელშიც საფინი იბღლიანად მოგარინდობა წვიმამ მოათქმევინა სული. მაგრამ კვირას ცვარი არ ჩამოვარდნილა მელბურნი, ამიტომ საფინი შუა თამაშიდან ერთგვარად განწირულს დაემსგავსა.

რუსმა პირველი სეტი ადვილად მოიგო, თუმცა საკმარისი გახდა იოჰანსონს უკანა ხაზიდან მეტი სიხუსტით დაეწყო თამაში, რომ რუსის ინიციატივა უშალ განივდა. მოქანცვის პოლიტიკამ შეედს უადრესად გაუმართლა და დრამატული კურიოზით დაწყებული დღე ტრიუმფატორად განასრულდინა. კურიოზი შემდეგი იყო: იოჰანსონის მწვერთნ-

ლის მოვალეობათაგანი, სხვათა შორის, თამაშზე წასასვლელად მანქანის გამოძახებაც გახლავთ. მაგრეს ტილემანს მანცდამანც ფინალის დღეს დაავიწყდა ეს ტრივიალური საქმე და ლოდინის ლიმიტი რომ ამოიწურა, მწვერთელი და შეგირდი ტაქსისკენ გაქანდნენ. ფული ტილემანს გადავხდევინეთ, ხუმრობით უთხრა იოჰანსონმა ჟურნალისტებს მაშინ, როცა უკვე ჩემპიონის თასი ჩაებლუჯა და მისი საბანკო ანგარიშისკენ მილიონი ავსტრალიური დოლარი მიედინებოდა (520 ათასი ამერიკული). შევედი გუშინწინ ღონივრად იღვა ფეხებზე და ბოლომდე არ დაღლილა, მეოთხე და გადამწყვეტი სეტი ტაიბრეიკში მოიგო.

„ფიზიკური მზადყოფნა საერთოდ ჩემი მინუსი იყო — თქვა იოჰანსონმა საკმაოდ მხიარულ პრესკონფერენციაზე — მთელი თამაშის მანძილზე დაღლა არ მიგრძენია, რაც განსაკუთრებით მიშლიდა ხელს წინა წლებში. ტურნირის წინ კუნთებს დიდხანს და გულმოდგინედ ვავარჯიშებდი. შედეგი მოვიძიე“.

გამძლეობა რომ არა, საფინის გარეგნული მონაცემები გვარინად აღემატებოდა იოჰანსონისას. რუსი შედეგზე 13 სანტიმეტრით მაღალი და 14 კილოთი მძიმე გახლავთ, მაგრამ, ეტყობა, მზადების პერიოდში არ ირბინა საჭირო ოდენობის კილომეტრები, არ ქაჩავდა ტრენაჟორის სახელურებს და აკი დაზარალდა.

საფინს ტრაველია არ შეუქმნია, ერთი-ორი წაიშაყრა კიდევ. პირველ რიგში მხარდაჭერისთვის მადლობა უძღვნა თავისი „ოჯახის“ წევრებს. ბრწყინვალე საჭიროა იმიტომ, რომ ჩოგბურთელის ბანაკისთვის განკუთვნილ ადგილებზე სამი კალმით ნახატი ქერა ლამაზბანი იჯდა და ექსცენტრულად გამოხატავდა თავის მხარდაჭერას, ოღონდ მათი რეაქცია შედ ფანთა ღრიალს როგორ ჩაახშობდა თუნდ მატჩისას და თუნდაც იმის შემდეგ.

შვედმა მელბურნი საქომაგო ვოიაჟები ოცი-ოდე წლის წინათ დაიწყო, მათს ვილანდერის და სტეფან ედბერგის ხანაში, რომლებმაც 1983 წლიდან ავსტრალიის ღია ჩემპიონის ტიტული ზედიზედ 5-ჯერ დაისაკუთრეს, თუმცა 90-იან წლებს ეს ამბავი ნაკლებად ეხება. ზუსტად 10 წლის წინ ედბერგმა ამერიკის ღია პირველობის ფინალი მოუგო პიტ სამპრასს და მერე სკანდინავიელი არასდროს მდგარა „დიდი სლემის“ რომელიმე ტურნირის პირველ ადგილზე.

ფანებს მხნეობა არ დაუკარგავთ. წლიდან წლამდე ლურჯი და ყვითელი ფერებით შემოსილი დუქანი შეველი მანც დაღის „დიდი სლემის“ ტურნირებზე და წარსულის დაბრუნებას მოითხოვს. ქომაგთა ფაქტორი იოჰანსონმა საგანგებოდ აღნიშნა. ძლიერ შემიწყვეს ხელიო, თქვა შევემა და ლუდი იკისრა ყველასთვის. ასევე მოიქცა იონას ბიორკანი ერთ ადრეულ ეტაპზე სამპრასის გადგების შემდეგ — შეველთში ქომაგები და ჩოგბურთელები ერთი გუნდია.

საფინს არ უკამათია, რომ იოჰანსონს გამარჯვებაში ხალხი შეეშველა. მეტიც, რუსის აზრით, ეს იყო მისი წაგების მთავარი მიზეზი. ცხადია, ყველაფერი ითქვა ხუმრობითა და პირზე ღიმილით, მაგრამ ისეთ ხუმრობას რა ვუთხარით... და ავსტრალიის ღია პირველობა ამით დავამთავროთ.

ღაზით გულშა

ყველა ფინალი	
მაშხმი ერთეულები	ტომას იოჰანსონი (6, შედეგი) — მარატ საფინი (9, რუსეთი) 3:6, 6:4, 7:6 (7:4)
წყვილები	მარკ ნაშუზი (ბაჰამები), დანიელ ნესტორი (კანადა) — მიშელ ლოდრა, ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) 7:6 (7:4), 6:3
ძალხმი ერთეულები	ჯენიფერ კარიატი (1, აშშ) — მარტინა ჰინგისი (3, შვეიცარია) 4:6, 7:6 (9:7), 6:2
წყვილები	მარტინა ჰინგისი (შვეიცარია), ანა კურნიკოვა (რუსეთი) — დანიელა პანტუოვა (სლოვაკეთი), არანა სანეს-ვიგარიო (ესპანეთი) 6:2, 6:7 (4:7), 6:1
შირხული	კინი ული (ზიმბაბუე), დანიელ პანტუოვა (სლოვაკეთი) — გასტონ ეტილისი, პოლა სუარესი (ირგენტინა) 6:3, 6:2



მარატ საფინს ამ საესე გოგობმაც ტყუილად უქომაგეს, ტომას იოჰანსონის გულშემატკივრები კი მეტნი იყვნენ და თავიანთი ჟილას გამარჯვებაც ერთი ამბით იღნიშნეს



მარატ საფინს ამ საესე გოგობმაც ტყუილად უქომაგეს, ტომას იოჰანსონის გულშემატკივრები კი მეტნი იყვნენ და თავიანთი ჟილას გამარჯვებაც ერთი ამბით იღნიშნეს

ევროპის 2003 წლის ჩემპიონატი

შესარჩევნო პატაი. V ტური. 26 იანვარი

ევროპის 2003 წლის ჩემპიონატზე თამაშის მსურველებმა შესარჩევნო ვაკუუმში ნახევარი გზა გადარჩა...

Table with 2 columns: A ჯგუფი and B ჯგუფი. Lists teams and their statistics.

Table with 2 columns: C ჯგუფი and D ჯგუფი. Lists teams and their statistics.


Table with 2 columns: E ჯგუფი. Lists teams and their statistics.



როუმანეთი — ისრაელი ებრაელი ნაორ მთარი (№7) ბოგდან პოპეცუს უფარებს

ნაყოფიერ, გულს რამოი... მაიაშიმ ბაიმაბრა ის, რაც სხვებს უკანკალაბთ

26 იანვარი
მაიაშიმ 90:77 60უ ჯერი
მაიაშიმ: სტრიკლენდი (1), ჯონსი (20), გილი (10), გრანტი (9)...



მაიაშიმ — ნიუ ჯერსი. მაიაშიმმა ალონზო მურინგმა (№ 33) რიჩარდ ჯეფერსონს მოუხსნა ბურთი

ზუსტად ერთი წლის წინ „მაიაშიმს“ „ნიუ ჯერსის“ ძლევა ისე ჩაივლიდა, ამ გუნდთა ქომაგებს ორიოდ წუთით თუ აუჩქარებდა გულს...

25 იანვარი
ლიტუის 94:91 სან ანტონიო
ლეიკერსი: ბრაიანტი (27), ონილი (25)
სან ანტონიო: დანკანი (24)...

26 იანვარი
ნიუ იორკი 127:29 60უ იორკი
ბირთვადი დრო 107:107
მილუოკი: რობინსონი (38), ალენი (23), მისონი (22)...

27 იანვარი
ფილადელფია 93:87 ლიუკინგი
ფილადელფია: ბიგსონი (29), კოულ-მენი (18)...

კლიპერსი 112:33 დალასი
კლიპერსი: რიჩარდსონი (31)
დალასი: ნოვიცკი (28), პოპოვიჩი (27), ნემი (20)...

საქართველოს ჩემპიონატი თბილისი 26-27 იანვარი



საქართველოს ჩემპიონები (მარცხნიდან): ალექსანდრე დობტროვილი, გენადი ჩხაიძე, ლაშა ლომაძე, ხვიჩა ბიჩინაშვილი, ირაკლი ქოჭუა, მირიან გიორგაძე და შმაგი გოჭაძე

პანტანგაძე შვებულაგაში, გულიაშვილი პენსიაზე, ნურნუია ყაზახეთში

ამ უძველესი არმიის სპორტულ კომპლექსში გაიმართა საქართველოს ჩემპიონატი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. დარბაზს გულშემოტივარი არ აკლდა. სავესტრიუნიანი გულიანად ქომაგობდნენ, ფალანგებაც არ გაუცრუეს მათ იმედი და შეჯიბრის საინტერესო გამოდგა.

უკვირავს, ყაზახეთში აპირებს გადაბარებას. იგი ახლაც ყაზახეთშია იქაური ჭიდაობის ფედერაციის ხელმძღვანელებთან მოსალაპარაკებლად. მის არყოფნაში მირიან გიორგაძემ გაილაღა. გიორგაძე საკმაოდ იოლად გაუსწორდა ლაშა გვადიბაძეს და მძიმე წონაში ჩემპიონის ტიტულიც ირგუნა.

ბაჩო სვანიძე

55 კგ
1. ირაკლი ქოჭუა
2. პაატა ბინაძე
3. ზურაბ ზაფერიშვილი
60 კგ
1. ლაშა ლომაძე
2. ალექსანდრე ბოლქვაძე
3. გიორგი ბერიძე
66 კგ
1. შმაგი გოჭაძე
2. მანუჩარ კვიციანი
3. დავით შაგაძე
74 კგ
1. ალექსანდრე დობტროვილი
2. ტარიელ მელიქიანი
3. ბადრი ხასიაია
84 კგ
1. ხვიჩა ბიჩინაშვილი
2. პეტრე მეტრეველი
3. ზვიად ქარაძე
96 კგ
1. გენადი ჩხაიძე
2. რამაზ ნოზაძე
3. რამაზ დევაძე
მძიმე
1. მირიან გიორგაძე
2. ლაშა გვადიბაძე
3. გიორგი მუხლაძე



შმაგი გოჭაძის და მანუჩარ კვიციანის ფინალის ილეთები არ აყლდა

სსრკ-ის 2003 წლის ჩემპიონატის უსარჩქვო ტურნირი. ვაშაბი

ბოლო-ბოლო: გვერდის, რას გვერდობდა

ავსტრიელთან საპასუხო მატჩმა კიდევ ერთხელ დაგვიანდა საქართველოს ხელბურთელთა ნაკრების ძალა და ნაკლიც. მართალია, მეტოქის ერთი ბურთით ძლევა, თანაც შინ, რადიკალური დასკვნების გამოტანის საბაზს არ იძლევა, მაგრამ ჯგუფის ფავორიტის წინააღმდეგ დამაჯერებელი, დროულად სოლიდური თამაში აშკარად მეტყველებს ჩვენი გუნდის შესაძლებლობაზე. ნორმალური მზადებისა და სხვა ხელშემწყობი პირობების შემთხვევაში, სულაც არ იყო გამორიცხული, ზაზა დოლიძის ბიჭებს პირველი ადგილი დაეკავებინათ. მათი მეტოქეები არცთუ დაუძლეველები ჩანდნენ მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკულად ყველა თავიანთი საუკეთესო მოთამაშე ჰყავდათ და ქართველებით განახევრებული გუნდით არ იბრძოდნენ.

მათვარ სათქმელსაც, ანუ მარცხის უმთავრეს მიზეზსაც მივადექით. მოუზადებლობის მიუხედავად, ჩვენები მთელი შესარჩევი ციკლის მანძილზე არც ისე განწირულად გამოიყურებოდნენ და ნაკრებში სამი წამყვანი ლეგიონერი (როლანდ ერადე, გარი თურქია, სერო დათუკაშვილი) რომ ყოფილიყო, დარწმუნებული ვართ, ფინელებთან პელსინკიში ექვსბურთიან უპირატესობას წაგებად არ მიიყვანდნენ, ხოლო თბილისში, განმეორებით შეხვედრაში, თითქმის ასეთსავე სხვაობას ფრედელ არ გაფლანგავდნენ. არადა, საბოლოოდ სწორედ ეს სამი ქულა დაგვავალდა, ჯგუფში პირველ ადგილზე რომ გავსულიყავით.

გად სხვაობა მინიმუმამდე შემცირდა, ოღონდ წინა მატჩებისგან განსხვავებით, მათ ეს ერთბაშად უპირატესობა ბოლომდე შეინარჩუნეს. მატჩის საუკეთესო მოთამაშედ ნაკრების კაპიტანი ლევან გელაშვილი (საბერძნეთის „ლეონიდასი“) დაასახელეს.

საქართველოს ნაკრებმა ამ მოგებით ავსტრიელებს კინაღამ შემდგომი ეტაპის საგზური დააკარგვინა, რადგან მათ კონკურენტ ფინელებს პოლანდიელებთან შეხვედრაში ფრედელ ხელს აძლევდათ. საკმაოდ მოულოდნელად, აუტსაიდერმა პოლანდიამაც კული მოიქცია და ფინეთი პირში ჩალაგამოვლებული დატოვა.

საბოლოოდ, ავსტრიასა და ფინეთს 7-7 ქულა დაუგროვდათ, მაგრამ ერთმანეთში ბურთების უკეთესი ბალანსით პირველობა ერგოთ ავსტრიელებს, ჩვენები კი პოლანდიასთან შინ მეტი ბურთის გაშვების გამო ბოლო, მეოთხე ადგილზე დარჩნენ. ან კი რა წარმატებას უნდა ელოდე გუნდისგან, რომელსაც ასეთი საპასუხისმგებლო შეჯიბრის წინ თუნდაც ერთი შეკრება და ორიოდე საკონტროლო თამაშიც ვერ ჩაუტარებია.

დღანარჩენ ოთხ ჯგუფში უძლიერესები იყვნენ ლიტველი, უნგრელი, ნორვეგიელი და მაკედონიელი ხელბურთელები. ეს ხუთი გუნდი კენჭისყრით უფრო ძლიერ ხუთეულთან დაწვევად და ორრაუნდიან პლეი ოფში მსოფლიოს საგაისო ჩემპიონატის ფინალური ტურნირის საგზურს გაითამაშეს.

ბია ახალაძე

VI ტური

პოლანდია 26:23 (12:12) ფინეთი
საბერძნული 28:27 (12:15) ავსტრია
27 იანვარი, თბილისი

სპორტის სასახლე, 3 000 მაყურებელი
მსაჯეები: ტარას კოუზი და ვიტორ ზეოზა (უკრაინა)
საბერძნული: თევზაძე, გელაშვილი (10 გოლი), კალანდიაძე (8), ბოჭორაძე (3), ქოზილაშვილი (2), ყიფიანი (2), ორჯონიკიძე (1), ფერაძე (1), ქანტურია (1), გვაზავა, ქარცივაძე, ნიკოლაიშვილი
ავსტრია: ბუგურა, შილაგი (7), გრაფი (4), გალინი (4), ვიტსტრემსი (4), შლეცაი (4), გიუნტერი (2), ფიოლსერი (1), გერლინგერი (1), შერგესელი, ვარგა, ბინდერი

საპოლო ვითარება

ავსტრია	6	3	1	2	16:21	48	7
ფინეთი	6	3	1	2	14:14	47	7
პოლანდია	6	2	1	3	14:31	47	5
საქართველო	6	2	1	3	14:01	45	5



ტიტე კალანდიაძე შესარჩევი ეტაპზე ყველაზე შედეგიანი იყო — 36 გოლი

შვებულები საკუთარ მარჯვენაზე

შვებულები მიმდინარე ვაშ ხელბურთელთა ევროპის ჩემპიონატზე პირველი ეტაპი დასრულდა. ყოველი ჯგუფიდან (ასეთი კი ოთხი იყო) სამსამი გუნდი გადიოდა შემდეგ სტადიაზე ერთმანეთში მატჩების შედეგების გათვალისწინებით. ეს ზღუდე დაუძლეველი აღმოჩნდა პოლონეთის, ხორვატიის, შვეიცარიისა და ისრაელის ნაკრებებისთვის. აღსანიშნავია ისიც, რომ ერთადერთი გუნდი, რომელმაც სამივე თამაშის მოგება შეძლო, კონტინენტის სამგზის ჩემპიონი შვედეთი გახლავთ.

შვებულები

A ჯგუფი
შვედეთი 3:22 ჩინეთი
უკრაინა 30:23 პოლონეთი
შვედეთი 28:20 პოლონეთი
ჩინეთი 30:27 უკრაინა
B ჯგუფი
რუსეთი 27:26 ისრაელი
დანი 27:20 პორტუგალია
რუსეთი 28:19 პორტუგალია
დანი 29:26 ისრაელი

შვებულები

C ჯგუფი
ესპანეთი 24:22 შვეიცარია
ისრაელი 31:25 სლოვაკია
ესპანეთი 25:20 სლოვაკია
ისრაელი 33:22 შვეიცარია
D ჯგუფი
საფრანგეთი 22:20 იზრაელისა
გერმანია 26:21 სლოვაკია
საფრანგეთი 29:27 სლოვაკია
გერმანია 27:21 იზრაელისა

I ნახევარფინალური ჯგუფი

შვედეთი	2	0	0	58:43	4
დანი	1	1	0	52:45	3
რუსეთი	1	1	0	53:44	3
ჩინეთი	1	0	1	52:58	2
უკრაინა	0	0	2	48:57	0
პორტუგალია	0	0	2	39:55	0

II ნახევარფინალური ჯგუფი

ისრაელი	1	1	0	55:49	3
გერმანია	1	1	0	42:36	3
ესპანეთი	1	1	0	49:44	3
საფრანგეთი	1	1	0	37:35	3
სლოვაკია	0	0	2	45:56	0
იუგოსლავია	0	0	2	41:49	0

პრინსი მისულა

ბოპფარსკეღლავი პრინსი თავის მორიგ მიჯნურთან ერთად კალატბურთის საცქერლად მისულა ტორონტოში. იქაური „რეპტორნი“ მინესოტელ „მეღლებს“ მასპინძლობდა. დიდი ამბავი, თუ მისულა, აგერ, ჯეკ ნიკოლსონი „ღეიკერის“ ყველა თამაშზე პირველ რიგში ზის.



REUTERS პალერმოიდან



პორნო არ გვინდაო

თითქოსდა მოწყენილია უნგრელი პორნოგარსკეღლავი ევა ჰენგერი. პალერმოს სპორტის სასახლეში ზის და პალერმოელ და მუდენელ ფრენბურთელ ქალთა თამაშს ადევნებს თვალს. ამ ევას გულში პალერმოელთა გუნდის სპონსორობა ჰქონია ამოჭრილი, მაგრამ უარი უთქვამთ, პორნოფული არ გვენებასო.



უკვე გამაზა?

გერმანიაში განთქმულ ტელეშოუს, რომელსაც ჩვენებურად „უკვე გამაზა?“ დაერქმევა, სულ სახელოვანი სტუმრები ჰყავს ხოლმე. ახლაც მოუწვევიათ ბორის ბეკერი, კლაუდია შიფერი და ტრამპლინიდან მსტომელი სვენ ჰანავალდი. უხუმრიათ, რაც შეეძლოთ. განსაკუთრებით ბეკერს.




REUTERS პრანსუგეიდან

REUTERS პრანსუგეიდან

ბაღუი

ეს სურათი მეღბურნის ბოტანიკურ ბაღში გადაუღია ავსტრალიის ღია პირველობის ზედმეღ მუორედ მომეღ ჯენიფერ კაპრიატის. ცხადია, მშობღებღც, ღეღა სტეფანო და მამა ღენისი, ბენღიერეღ არიან.



REUTERS ნოუ იორკიდან




ჰინ მოიგო?

აი, ბრძოღა ეს იყო და ფოტოც თაზზარღამეკეღია. თუმცა, კრიეიც ესაა და მეტი არაფერი. ვეღთურის წონის საბჭოს (გბე) ჩემპიონი შეინ მოსღი პრეტენღენტ ვერნონ ფორესტსა ჰგეღმს მეღდისონ სკვერ გარღენში. ეგეღ ვაგეღვირღეთ და, ფორესტმა ჩემპიონის ყვეღა მოქნეღას ვაუღღო და მსაჯთა ერთხმა ვაღაწყვეღღეღებით გაიმარჯვა. ასე რომ, ახღა სწორედ ფოტოზე ყბამორღეღული ბიჭია ჩემპიონი.

მხარღაჭერიღსთღვის

ტიანინმინის ჭიშკართან, ზედ მათ ძეღუნის პორტრეტის ქვეშ გადაუღიათ სურათი დიდ ოღიმღიურ ჩემპიონებს, მოცურავე მარკ სპიცს და ტანმოღვარჯღიშე ნაღია კომანეჩის. ეს ორნი და ასევე ძვეღი ოღიმღიური ჩემპიონი, მძღეღსანი ეღვინ მოზეღი პეკინს ჩასულან, რათა იქ საქვეღღმოქმეღღო პროგრამის მხარღაჭერა მოიპოვონ. პროგრამა იმას გუღღისხმოზს, რომ სპორტის მეშვეღებით სოციაღური პრობღემეღი გადაიჭრას.



REUTERS ბეიღინღან

სარბიელი
საორტული გაჯათი
გამოღცემა 1990 წღღს
28 ღეკემბრიღან
გამოღღს საფაბათს,
ოთხფაბათს, ხუთფაბათს,
პარასკეღვს და შაბათს

მთაგარი რეღაქტორი ზურაბ ჴოცხმერიან
ღირეკტორი ბიორბი ოქრომჭაღღღიმ
რეღაქტორი მამაზ მიბრინაული
მთაგარი რეღაქტორის მოაღღილე სოსო კოტორაიშვიღი
ტექნიკური რეღაქტორი მასტანზ ბზინაძემ
ქართული ფეზბურთის რეღაქტიღ ღავით თავართიღღამე, კობა ინასარიღე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შღღამბერიღე
უცხოური ფეზბურთის რეღაქტიღ:
რეღაქტორი ბიორბი ღარჯანია
გიო ახეღეღიანი, იღია ბაბუნაშვიღი, სოღღომონ გუღღისაშვიღი, გიორგი ვაშაქიღე, ვაჟა ჴუციშვიღი

ინფორმაციის რეღაქტიღ: გია ახღაღე, ღავით გუღღუ, ავთანღიღ გურასაშვიღი, ირაკლი პერტაია, ბაღო სვანღი, ირაკლი ფორაშვიღი
კორესპონღენტი ქუთაისში იუზა კაციტაღე
კორესპონღენტი გერმანიაში ვანო ოქროზიღიღე
ფოტორეღორტიორეღი: გურამ ღღღღღაშვიღი, ბაღრი კეღიღაღე
სტიღღსტეზი: მათა აზღინიღე ნათულა გიორგობანი, ღღღი გოზღღიშვიღი
კომპიუტერული ცენტრი: ხეღმღღეღი მამუკა გუბაღღამ
ღია ბესეღა, ეღენე გეღღუღაშვიღი, თამაზ გოგეღაშვიღი, ირინა გოგოღაშვიღი, სვეტა ღეღაღე, მავღა ღღღღაშვიღი, კახა თაღაკაღე, მარიამ ტაბიღე, თენგიზ ფოფხაღე, ნინო ფუფუნეღი, მალხაზ ჴუმბურღიღე
გამომშვეღი ჴურაბ ინაშვიღი

ღეღაქტიღის მისაგართი:
თბი.ღღი, აღმესანღრემ
ყაზემზღის ბაზღიღი 42, II
კორაუღი, IV საროშული.
საწოღსტი მისაგართი:
თბიღღი — 79, საწოღსტი
ყუთი 208. ტეღღსწოღი: 39 48 29
ეღღეღტრონული წოღსტა
sarbield@gol.ge
ეღღეღტრონული ვებ-ღღია
<http://www.sarbield.com.ge>